ბორჯომი

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი * გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

1 იანვარი
ორშაბათი
2024 წელი
№1 (9315)
ფასი 40 თეთრი

ჩვენ ვიშრომეთ და ერთად გავიმარჯვეთ

ირაკლი ღარიბაშვილი
საქართველოს პრემიერ-მინისტრი

დიდი სიმაყით და დიდი სიხარულით გილოცავთ ისტორიულ გადაწყვეტილებას. საქართველო გახდა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანა. დიახ, ჩვენ არ დავდექით ცალ ფეხზე და მუხლის ჩოქებაზე, არამედ დავდექით მტკიცედ და ღირსეულად მოვიპოვეთ გამარჯვება, - ეს ისტორიული გამარჯვება გეკუთვნით თქვენ, ჩვენს დაუმარცხებელ, გაუტეხელ, ამაყ და თავისუფლების მოყვარე ქართველ ხალხს!

ამ უდიდესი გამარჯვებისათვის გულწრფელი მადლობა მთავრობას, ,,ქართული ოცნების“ წევრ პარლამენტარებს, ყველა საჯარო მოხელეს. ეს ისტორიული გადაწყვეტილება სწორედ თითოეული ჩვენგანის შრომის შედეგია.

მინდა, თითოეულ მოქალაქეს მოგილოცოთ დღევანდელი ისტორიული დღე, ეს ნამდვილად არის ჩვენი ქვეყნის და ჩვენი ხალხის გამარჯვება. ეს ნამდვილად არის ღირსეულად მოპოვებული დამსახურებული სტატუსი, რომელიც ჩვენ, ხელისუფლებამ, ჩვენს ხალხთან ერთად და ჩვენი ხალხისათვის მოიპოვა. ჩვენ ვიბრძოლეთ, ჩვენ გავიმარჯვეთ.

რაც მთავარია - ევროკავშირის 27 ქვეყნის თითოეულ ლიდერს მე მინდა მადლობა გადავუხადო ერთსულოვნებისათვის და ერთხმად გამოხატული ძლიერი მხარდაჭერისა და ნდობისათვის.

მინდა მივულოცო ეს დღე ჩვენი პარტიის დამფუძნებელს - ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომლის მმართველობამაც მოიტანა სწორედ დღევანდელი დღე და ეს გამარჯვება!. 2012 წლიდან მოყოლებული, ჩვენმა პოლიტიკურმა გუნდმა მიაღწია მაქსიმუმს და დღევანდელი დღე შეიძლება ითქვას, არის ერთგვარი დაგვირგვინება ჩვენი წარმატებული მმართველობისა.

14 დეკემბერი საქართველოს ისტორიაში ჩაიწერება როგორც ისტორიული თარიღი. საქართველო დღეიდან არის ევროპული სახელმწიფო, ევროპული ქვეყანა. საქართველო არის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანა. ასე რომ, ეს გამარჯვება გეკუთვნით თქვენ, ძვირფასო მოქალაქენო, ეს არის ჩვენი შრომის, ჩვენი ბრძოლის შედეგი და კიდევ ერთხელ მე მინდა მადლობა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ ისტორიული გამარჯვების საქმეში თითოეული აგური დადო და ეს გამარჯვება მოუტანა ჩვენს ხალხს...

ჩინ მოდნიერი მომავალი გველოდება

გესიკ ამირანაშვილ
სახელმწიფო რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში

ჩემს სამცხე-ჯავახეთსა და სრულიად საქართველოს ვულოცავ ახალ წელს. გისურვებთ თითოეული თქვენგანისთვის, თქვენი ოჯახებისთვის, ჩვენი ქვეყნისთვის ყოფილიყოს ეროვნული ერთიანობის, სიმშვიდის, იმედების გამართლების, მეტი სიყვარულის, ურთიერთპატივისცემის, წინსვლისა და წარმატების წელი.

დღეს ჩვენ ერთად ვაცილებთ 2023 წელს, რომელიც მარტივი არ იყო, ბევრი სირთულითა და რისკით დაგვამახსოვრა თავი, მაგრამ იყო მრავალი წარმატება და პროგრესი ყველა მიმართულებით.

წელს საქართველო ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანა გახდა, რაც უმნიშვნელოვანესი მოვლენაა მთელი ქვეყნისა და ქართველი ერისთვის, ჩვენი ხელისუფლების გონიერი ნაბიჯებით კიდევ უფრო დავუახლოვდით ჩვენს ისტორიულ არჩევანს - ევროპულ ოჯახს.

საქართველო თავისი უნიკალური კულტურითა და ტრადიციებით აუცილებლად გახდება ერთიანი ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი და ქართველი ხალხის საერთო ეროვნული მიზანი მიღწეული იქნება!

მინდა, მადლიერება გამოვხატო ყველა იმ ადამიანის მიმართ, ვინც მთელი წლის განმავლობაში თავდაუზოგავად, მუხლჩაუხრელად, უანგაროდ, საკუთარი პროფესიონალიზმითა და გულწრფელი სიყვარულით ემსახურა ქვეყანასა და მის ინტერესებს, ჩვენი ხალხის კეთილდღეობას.

ახალი წელი ახალი ენერგიით, შემართებით უნდა დავიწყოთ. თავად უნდა შევქმნათ ჩვენი ხვალინდელი დღე, ჩვენი მომავალი. დარწმუნებული ვარ, რომ მალე ვიამაყებთ ერთად გაკეთებული საქმეებით და შედეგებით.

განსაკუთრებული სიყვარულითა და სითბოთი მინდა მივულოცო ახალი წელი ყველა ბავშვს. მათთვის დღევანდელი დღე ზღაპრულ სამყაროს და ოცნებების ახდენას უკავშირდება. ჩვენი ვალია, რომ მომავალ თაობას ცხოვრების ღირსეული პირობები შევუქმნათ.

ვულოცავ ჩვენი დიდი ეთნიკური, კულტურული თუ რელიგიური მრავალფეროვნების თითოეულ წარმომადგენელს, ვისაც ფასდაუდებელი წვლილი შეაქვს ჩვენი ქვეყნის წინსვლაში.

ახალ 2024 წელს ვულოცავ ჩვენს აფხაზ და ოს ძმებსა და დებს. მჯერა, ჩვენ ისევ ერთად ვიცხოვრებთ ერთიან, ძლიერ საქართველოში.

ჩემო ძვირფასო თანამემამულენო, კიდევ ერთხელ გილოცავთ დამდეგ ახალ წელს, მშვიდობის, წინსვლის, სიკეთის მომტანი წელი ყოფილიყოს თქვენთვის, თქვენი ოჯახებისა და სრულიად საქართველოსთვის.

მრავალ წარმატებებს გისურვებთ, ჩემო ბორჯომელებო!

ოთარ არგოლიშვილი
მორჯომის მუნიციპალიტეტის მერი

ჩემო ძვირფასო ბორჯომელებო! გილოცავთ საქართველოს ევროკომისიის უმნიშვნელოვანეს, ისტორიულ გადაწყვეტილებას, საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას, ამასთან გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! გისურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას, კეთილდღეობას, სიყვარულს და ჩვენი ქვეყნის სიძლიერეს.

ეს ნამდვილად არის ჩვენი ქვეყნის გამარჯვება, რომელსაც დაუღალავი შრომისა და მონდომების შედეგად მივაღწიეთ. ნამდვილად სასიხარულო და საამაყო დღეები დაგვიდგა საქართველოში და კერძოდ, ბორჯომში.

ახალ წელს ვულოცავ ჩვენს ახალგაზრდებს! თქვენ ამ ქვეყნის ხვალინდელი დღე ხართ! მინდა იცოდეთ, რომ თქვენი წარმატებები ჩვენი ქვეყნის წინსვლის საწინდარია!

თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ჩვენმა სამშობლომ ბევრ განსაცდელს და წინააღმდეგობას გაუძლო, ქართველი კაცი თავისი ნიჭითა და შრომისმოყვარეობით მუდამ ახერხებდა ქვეყნისათვის სასიკეთო საქმეების კეთებას.

მიმდინარე წელი, მართლაც რომ, ნაყოფიერი აღმოჩნდა ბორჯომის მუნიციპალიტეტისთვის. განხორციელდა არაერთი უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურული პროექტი - კეთილმოეწყო გზები, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადები, რეკრეაციული სივრცეები. ამის გარდა განხორციელდა ათობით პროექტი, რითაც ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. მომავალში წინსვლა უფრო წარმატებული იქნება.

ბორჯომი მალე ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით უფრო განვითარებული და კეთილმოწყობილი იქნება!

ყველას გისურვებთ სიმშვიდეს და უკეთესი მომავლის რწმენას. მჯერა, ხელისუფლებისა და ხალხის ერთიანობით, დასახული მიზნისკენ სწრაფვით და ურთიერთ სიყვარულით შევქმნით ჩვენი მუნიციპალიტეტის უკეთეს ხვალინდელ დღეს.

სიყვარული და სიკეთე დაგბედებოდეთ

ანტონ ოგოლაშვილი,
მორჯომის მაჟორიტარი დეპუტატი საქართველოს პარლამენტში.

ძვირფასო ბორჯომელებო, მინდა მოგილოცოთ დამდეგი შობა-ახალი წელი!

2024 წელს განსაკუთრებული საზეიმო განწყობით ვეგებებით, რადგან გასულმა წელმა თითოეული ჩვენგანი ღირსეული გადაწყვეტილების მომსწრენი გაგვხადა - საქართველომ მიიღო ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი, რაც თქვენი, როგორც მოსახლეობის და ჩვენი, როგორც ხელისუფლების ერთობლივი შრომის და პრინციპების ერთგულების შედეგია.

ჩვენ შევძელით და ევროპელ მეგობრებს დავანახეთ საქართველოს და ქართველი ხალხის სურვილი და შემართება გახდეს ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი.

მე ამაყი ვარ იმ საერთო მუხტით და ერთიანობით, რომელმაც შეგვაძლებინა არაერთი დაბრკოლების გადალახვა და მოგვცა მოტივაცია ვაკეთოთ უფრო მეტი საქმე ჩვენი რეგიონის და ქვეყნის განვითარებისთვის!

მჯერა, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტს შევძლებთ და გავაგრძელებთ ნაყოფიერ შრომას წარმატებისთვის!

მინდა ვუსურვო ბორჯომს, ბორჯომელებს და სრულიად საქართველოს, მშვიდობა, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა! მუდმივად გვეხაროს ჩვენი შრომის დადებითი შედეგებით. დაე, 2024 წელი იყოს მეტი სიკეთის და ბედნიერების მომტანი თითოეული ჩვენგანისთვის.

უფალი იყოს სრულიად საქართველოს მფარველი!

ერთად დგომით ყველაფერს შეძლებთ

დავით ზაალიშვილი,
მორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ძვირფასო ბორჯომელებო, 2023 წლის ბოლოს დიდი სიხარული ეწვია ჩვენს სამშობლოს. საქართველო ევროკავშირის კანდიდატის ქვეყანა გახდა. ეს ქართველი ხალხის და ხელისფლების დიდი მონაპოვარია. ყველას გილოცავთ ამ დიდ გამარჯვებას, საბოლოო მიზნის მისაღწევად მოგვიწევს მუხლჩაუხრელი შრომა და მწამს, ამ დიდ გამარჯვებაში სხვებთან ერთად ბორჯომელები ღირსეულ წვლილს შეიტანენ. ამასთან მთელი გულით გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! მშვიდობის, ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და კიდევ უფრო მეტი განვითარების მომტანი ყოფილიყოს 2024 წელი თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის!

2023 წელი ჩვენი ქალაქისათვის საკმაოდ ნაყოფიერი იყო. ჩვენს მუნიციპალიტეტში არაერთი ამბიციური ინფრასტრუქტურული პროექტი განვახორციელეთ, 25-მდე სოციალური პროგრამის ფარგლებში რამდენიმე ათას ადამიანს დავეხმარეთ და რამდენიმე ათეული კულტურული ღონისძიება ვაჩუქეთ ქალაქს. მომავალში ჩვენი თანაქალაქელებისათვის კიდევ უფრო ეფექტური პროექტების განხორციელებას ვგეგმავთ.

ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ თითოეულმა ბორჯომელმა იგრძნოს ადგილობრივი ხელისუფლების ზრუნვა. ღრმად მწამს, რომ ჩვენი ერთიანობით ყველაფერს შევძლებთ!

კიდევ ერთხელ გილოცავთ შობა-ახალ წელს! მშვიდობას, დასახული მიზნების განხორციელებას და მატერიალურ კეთილდღეობას გისურვებთ თქვენ და სრულიად საქართველოს!

მრავალ ახალ წელს დაესწარით

ეკატერინე ორჯონიკიძე
ბაკურიანის განვითარების სააგენტოს თავმჯდომარე

ბაკურიანის, ბორჯომის, სრულიად საქართველოს მოსახლეობას ვულოცავ ახალ 2024 წელს! გისურვებთ ულევ სიხარულს, სიკეთეს, ბედნიერებასა და წარმატებას! დაე, 2024 წელი თითოეული ჩვენგანისთვის ყოფილიყოს მშვიდობის, კეთილდღეობის, წინსვლის და ერთიანობის შემოქმედი!

20 დეკემბერს საზეიმოდ აინთო საახალწლო ნაძვის ხე

გასული წელი ბაკურიანისთვის სიახლეების და განვითარების წელი იყო, ჩვენი გუნდის მეშვეობით მრავალი პროექტი და აქტივობა განვახორციელეთ, თუმცა მჯერა, რომ 2024 წელს გაცილებით მეტის \გაკეთებას შევძლებთ და ბაკურიანის თითოეულ მაცხოვრებელს და დამსვენებელს ცხოვრების ღირსეულ პირობებს შევუქმნით.

კომპანია ,,ids ბორჯომი-საქართველო“ გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! ბედნიერი და წარმატებული ყოფილიყოს 2024 წელი!



300-წლიანი „კარზე კაკუნი“ წარმატებით დასრულდა

გილოცავ, საქართველო! ეს არის ისტორიული გადაწყვეტილება – მალე ჩვენი ქვეყანა ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წევრი გახდება! თუმცა გზა ევროპამდე სამი საუკუნე გაგრძელდა და ქართველი ხალხისთვის ამ გზის გავლა არ იყო მარტივი...

300 წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოდან პირველი მისიონერი ევროპაში გაემგზავრა კავშირების დასამყარებლად.

სულხან-საბა ორბელიანი ევროპაში 1713 წელს ჟან რიშარსა და დავით ბერთან (დავით მეგრელი) ერთად წავიდა.

1713-16 წლებში ევროპაში ყოფნისას სულხან-საბას ბევრი დაბრკოლების გადალახვამ მოუწია. მისი მისია მოიცავდა ირანის ტყვეობიდან ვახტანგ VI-ის გათავისუფლებას და თბილისში მის ქრისტიან მეფედ დაბრუნებას, საფრანგეთიდან მისიონერების გაგზავნას საქართველოში კათოლიციზმის გავრცელების მიზნით **საქართველოსა და საფრანგეთს შორის პოლიტიკური, სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებას, სამხედრო თანამშრომლობის ჩამოყალიბებას. ასევე თბილისში უნდა გახსნილიყო საფრანგეთის საკონსულო.**

ლუი XIV-ის გარდაცვალებამ ცხადყო, რომ საქართველო საფრანგეთიდან დახმარებას ვერ მიიღებდა. დასავლეთ ევროპაში მოკავშირის ძიებამ კრახი განიცადა.

ერეკლე II-მ გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე 2 წლით ადრე ევროპაში ელჩები გაგზავნა. მათ ერეკლე II-ის სახელით მოლაპარაკებები უნდა გაემართად ევროპელ მეფეებთან და მათთან კავშირი დაემყარებინათ, თუმცა ვერც ერთმა ვერ შეძლო დანიშნულების ადგილამდე ჩასვლა. მეფის წარგზავნილი მოციქულები უცნაურ გარემოებებში იღუპებოდნენ.

არსებობს ვერსია, რომ ელჩების გაურკვეველ გარემოებებში გარდაცვალების უკან რუსები იდგნენ. 1783 წლის 24 ივლისს გაერთიანებული ქართ-კახეთის მეფე იძულებული გახდა გეორგიევსკის ტრაქტატი გაეფორმებინა რუსეთთან.

საქართველოს ევროპული გზა პირდაპირ დაკავშირებულია ილია ჭავჭავაძესთან. მას უდიდესი როლი აქვს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებასა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შექმნაში. ილია ჭავჭავაძე სათავეში ჩაუდგა თერგდალეულთა თაობას, რომელმაც ქართველ საზოგადოებაში ევროპული იდეები შემოიტანა. შეიძლება ითქვას, ევროპელებისა და საქართველოს ევროპული მომავლის ნარატივი ყველაზე მკაფიოდ პირველად სწორედ ილია ჭავჭავაძის პუბლიკაციაში გამოჩნდა. ილიამ დაასაბუთა, რომ ევროპული ფასეულობები ჩვენი ქვეყნისათვის ყველაზე ღირებულია.

ევროპულ ოჯახში შესვლით მიიღწევა კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების, მისი სიცოცხლის, თავისუფლების, საკუთრების დაცულობა, თანასწორობა და ჰარმონია. ილიას მიაჩნდა, რომ ჩვენთვის პრიორიტეტული უნდა ყოფილიყო ევროპული განათლების მიღება. ევროპული მმართველობა, წესი და რიგი, რადგან მხოლოდ ასე შეიძლებოდა ხალხის ცხოვრების გაუმჯობესება. „ჩვენს ქვეყანას ევროპული გამოცდილება, მეცნიერება და განათლება სჭირდება. ეს უნდა იყოს მისი თოფ-იარაღი“... „ევროპა გაცილებით წინ წასულია, უფრო მდიდარია, უფრო ბედნიერია, უფრო ბევრი სიკეთისა და მადლის მპყრობელია, უფრო ძალოვანი და ღონიერია“, - წერდა **ილია ჭავჭავაძე.**

1919 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ **ნოე ჟორდანიას** ხელმძღვანელობით საქართველოს დე-

> **გილოცავ, საქართველო, ლამაზო, სხვა საქართველო სად არის. წინ, საქართველო, წინ!**
> **პაველ პერჩინსკი,**
> **საქართველოში ევროკავშირის ელჩი.**

მოკრატიული რესპუბლიკის დაბადება აცნობა.

საქართველო და თბილისი აღმოსავლეთ ევროპის კულტურულ ცენტრად წარმოგვიდგა. აქ იკრიბებოდნენ სხვადასხვა ეროვნების მწერ-

ლები, პოეტები, მხატვრები, რევოლუციურ რუსეთს გამოქცეული ხელოვანები. საქართველო ვითარდებოდა როგორც ტრადიციული ევროპული ქვეყანა და ამის დამადასტურებელია საქართველოს რესპუბლიკის პირველი კონსტიტუცია, რომელიც ერთ-ერთი პროგრესული იყო ევროპის კონტინენტზე და ჯერ კიდევ მაშინ აღიარებდა ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა **თავისუფლება, დემოკრატია და სამართლებრივი სახელმწიფო.**

1918 წელს საქართველომ დამოუკიდებლობა გერმანიის მხარდაჭერით გამოაცხადა. ზოგადად იმ პერიოდში საქართველო იყო ევროპული სტილის სახელმწიფო. იყო გარკვეული მიმართულებები, რომლითაც ევროპის უმეტეს ქვეყანასაც კი უსწრებდა. მაგალითისათვის შეგვიძლია ვთქვათ, საყოველთაო არჩევნები, ქალთა თანასწორუფლებიანობა და ა.შ. აქ პოლიტიკური და



> ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებით გვეხსნება ახალი შესაძლებლობები ქვეყნის სტაბილურობისა და საერთაშორისო ურთიერთობებში სტატუსის ამაღლებისა, ასევე კულტურული, მეცნიერული, ტექნიკური და ეკონომიკური წინსვლისა.
>
> ილია მეორე
> საქართველოს
> კათალიკოს-პატრიარქი,

სამეცნიერო-კულტურული ელიტა იმ იდეალებზე იყვნენ აღზრდილი და იმგვარად ქონდათ პოლიტიკური ხედვა ჩამოყალიბებული, როგორც იმ დროს ევროპულ საზოგადოებაში.

საქართველო აქტიურად იყო ჩართული ევროპულ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

1920 წლის დასაწყისში საქართველოს დამოუკიდებლობა დე ფაქტო აღიარა ძალიან ბევრმა ევროპულმა სახელმწიფომ, ხოლო 1921 წლის დასაწყისში დე იურეც აღიარეს.

1921 წლის თებერვალში საქართველოში საბჭოთა რუსეთის ჯარები შემოვიდნენ, თორემ საქართველო აუცილებლად იქნებოდა კარგა ხნის ევროკავშირის წევრი და სრულფასოვანი ევროპული ქვეყანა.

დამოუკიდებლობაწართმეული და საბჭოთა კლანჭებში აღმოჩენილი საქართველო დამოუკიდებლობის ხელმეორედ მოპოვებას 70 წელი ელოდა.

გადამწყვეტ ბრძოლად 1989 წლის 9 აპრილი შეგვიძლია მივიჩნიოთ, როდესაც მშვიდობიანი მანიფესტაცია საბჭოთა არმიამ სასტიკად დაარბია, ამის შემდეგ დამოუკიდებლობის აღდგენა შეუქცევადი პროცესი გახდა.

დასავლეთის კულტურა, ცივილიზაცია, ხელოვნება, პოლიტიკური ნაზრევი, ფილოსოფია, სოციალური და სამართლებრივი სისტემები უაღრესად ახლოა ჩვენთვის. ჩვენი თვალსაზრისით, ამის ათვისება და გათავისება დასავლური, ღია დემოკრატიული საზოგადოების აშენება არის დასავლური ორიენტაცია.

ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობა არ გამოდგა ხანგრძლივი.

ხელისუფლებაში მოსული ედუარდ შევარდნაძე დასავლური კურსისკენ სვლას მისი ლიკვიდაციის მცდელობის (1995 წელი) შემდეგ იწყებს. პრეზიდენტი ხვდება, რომ რუსეთის ანაბარა დარჩენა სახიფათოა. ნელ-ნელა მყარდება და ღრმავდება კონტაქტები ევროპულ ქვეყნებთან.

შევარდნაძე იყო პირველი, ვინც ნატოს პერსპექტივაზე დაიწყო საუბარი. მისი პრეზიდენტობის პერიოდში დაიწყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ერზრუმის პროექტი, რათა დასავლელი პარტნიორები დაეინტერესებინა.

1996 წელს საქართველო ხელს აწერს პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას.

1999 წლის 27 იანვარს კი საქართველო ევროპის საბჭოს წევრი ხდება.

1999 წელს ზურაბ ჟვანიას მიერ სტრასბურგში ევროსაბჭოს გენერალურ ასამბლეაზე წარმოთქმული სიტყვები - **„მე ვარ ქართველი და მაშასადამე, ვარ ევროპელი“ -** საქართველოს ევროპული გზის სახელმძღვანელოში დიდი ასოებით ჩაიწერა.

2012 წელს ხელისუფლებაში ახალი მთავრობა მოვიდა დეკლარირებული ევროპული კურსით.

2014 წლიდან საქართველოს ევროპისკენ სვლა სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა, **- ხელი მოეწერა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას.**

2016 წელს ასოცირების შეთანხმებისა და თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება ძალაში შევიდა.

2022 წელს საქართველომ ევროკავშირში განაცხადი წარადგინა.

> **საქართველო არასადროს დადგება ცალფეხზე იმისათვის, რომ ვინმეს თავი მოაწონოს, - მყარად ღირსებით შევალთ ევროპულ ოჯახში, დავბრუნდებით ჩვენს ადგილას, სადაც ამ ქვეყნის ბუნებრივი ადგილია.**
> **მამუკა მდინარაძე,**
> **პარლამენტარი.**

2023 წლის 8 ნოემბერს ევროკომისიამ საქართველოზე დადებითი რეკომენდაცია გასცა, რათა მიენიჭოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი.

14 დეკემბერს კი 300-წლიანი „კარზე კაკუნი“ წარმატებით დასრულდა.

დადგა ყველა ქართველისთვის ნანატრი მომენტი, მისი უდიდებულესობა ევროკავშირის სტატუსი საქართველოს ეკუთვნის, ქართველმა ხალხმა ევროპული ოჯახის წევრობა წლების განმავლობაში დიდი ბრძოლის შედეგად მოიპოვა.

გილოცავთ მეგობრებო! საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატობას და 2024 წლის შემობრძანებას. ეს ორი ღირსებით აღსავსე თარიღი ქართველთა მომავალი ბედნიერების და აღმშენებლობის საწინდარია.

მოამზადა
ვალერიან ლომბიძემ.

გლოცავთ და გილოცავთ!

ბორჯომის ხეობის მკვიდრო ქრისტესმიერო შვილებო, გილოცავთ შობა-ახალი წლის შემობრძანებას ჩვენს კურთხეულ მიწაწყალზე. ორმაგი სიხარულის და ბედნიერების დღეა ჩვენს სამშობლოში. ახალ წელთან ერთად ვზეიმობთ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღებას, ჩვენი ქვეყნისათვის გვეხსნება ახალი შესაძლებლობები პოლიტიკური სტაბილურობისათვის და საერთაშორისო ასპარეზზე სტატუსის განმტკიცებისათვის. ეს კავშირი ურთიერთსასარგებლო იქნება ჩვენი ქვეყნის ქრისტიანული ტრადიციებისა და სულიერი ფასეულობების ამაღლებისათვის.

ჩემო სულიერო შვილებო! გულწრფელად გლოცავთ და გილოცავთ! ყოვლადწმინდა ღვთისმშობლიოს მეოხებით ინებოს ღმერთმა საქართველოს ერთიანობა, მშვიდობა და წარმატებული მომავალი.

მრავალ შობა-ახალი წელი მომელოცოს თქვენთვის და თქვენი ოჯახებისათვის.

თქვენთვის მლოცველი მიტროპოლიტი დანიელი.

საქართველოს პატრიარქის ბრძანება

17 დეკემბერს კულტურისა და ხელოვნების ცენტრში გაიმართა საქართველოს პატრიარქის საზეიმო ბენეფისი ჭიათურისა და საჩხერის, ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტის დანიელის ლოცვა-კურთხევითა და წმ. ილია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძრის წინამძღვრის დეკანოზ იოანეს (ხეცურიანი) ხელმძღვანელობით.

ღონისძიება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საიუბილეო თარიღს - აღსაყდრებიდან 45 წლის და დაბადებიდან 90 წლის იუბილეს მიეძღვნა.

სიტყვებით გამოვიდნენ მიტროპოლიტი **დანიელი,** ბორჯომის მაჟორიტარი დეპუტატი **ანტონ ობოლაშვილი,** დეკანოზი **იოანე.**

საზეიმო საღამო დაამშვენა ილია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძრის მრევლის უფროსი და უმცროსი თაობის წევრთა მიერ შესანიშნავად შესრულებულმა ქორეოგრაფიულმა და მუსიკალურმა ნომრებმა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი,** მერის მოადგილე **გიორგი ტაბატაძე,** საკრებულოს დეპუტატები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, სასულიერო პირები და საზოგადოების წარმომადგენლები.

პ.ს. გაზეთ „ბორჯომის“ რედაქციის კოლექტივი ულოცავს საქართველოს პატრიარქს ილია მეორეს აღსაყდრებიდან 46 წლის იუბილეს.უსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს ერის სასიკეთოდ

დამტკიცდა მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი

ახალი წლის წინა დღეებში 2023 წლის 22 დეკემბერს გაიმართა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე დავით ზაალიშვილი.

დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს მერიის მიერ წარმოდგენილ ბორჯომის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტს და ერთსულოვნად დაამტკიცეს.

სერიოზული მსჯელობის შემდეგ დეპუტატებმა ერთხმად დაამტკიცეს საკრებულოზე წარმოდგენილი 16 საკითხი. განხილულ საკითხებზე მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

ვრცლად საკრებულოზე განხილული საკითხების შესახებ მოგითხრობთ გაზეთ „ბორჯომის“ მომდევნო ნომერში.

2 0 2 4

ევროპას ეტრფიან, მე მხიბლავს ქართული,
მუდამ თავს გვახსენებს წინაპართ წარსული,
ქვეყანა მწადია უფლისგან აღთქმული,
მშვიდობა გვებოძოს მისგანვე დათქმული.
სამყარო ვიხილოთ კვლავ დამშვიდებული,
ბავშვები არ ვნახოთ ხმით ატირებული,
უმწეო არ ვნახოთ ნაგვების ურნაში,
ვაჟკაცს არ შეერცხვინოს კაცობის ულვაში.
მხოლოდ მხიარული გათენდეს დღეები,
სიმწვანით გვხიბლავდეს ტყეებში ხეები,
სისხლში არ დაესვაროს არავის ხელები,
პოზიტივს აფრქვევდეს მოყვასის ხედვები.

არავის დასჭირდეს სამადლოდ სხვის ლუკმა,
ნასროლი ისარი მტერს დახვდეს უკან,
მხოლოდ ის ვისურვოთ, ბრძენ კაცს რომ უთქვამს,
- ზნეობა-ნამუსი არ წახდეს ურცხვად.
ქალს-ქალი ეწოდოს, კაცს ერქვას კაცი,
საწუთრო გვიხდება გულქვა და მკაცრი,
თავს ბოროტს გვახვევენ სულ უცხო კაცნი,
არა მწამს "ნამღერი ვიღაც სხვა მაცნის".
ქართული მიწა და ქართული ზნეობა,
ქართული სუფრა და ქართული მზეობა,
სიმღერა, ლოცვები, მუზა და მხნეობა,
ჭირს შიგა თმენა და უფლით გამძლეობა.
უმწიკვლო სიყვარულს შეესხას ფრთები,
კაცთ გულში სიხარულს გაეხსნას გზები,
ჯანღონით აგვავსე ახალო წელო,
ვარდ-ია-გვირილით მოგვირთე მდელო.
იმედით მობრძანდი ახალო წელო,
ხვავი და ბარაქა ჩვენს ყანას ვლეწოთ,
მხოლოდ სტუმრად გვყავდნენ ინდოელ-არაბნი,
და ქვეყნის დიდებას მღეროდეს არაგვი!!!
მრავალ ახალ წელს.

იზო სარქისიანი. ცემი

განვლილი წლის მონაგარი

2023 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის უმთავრეს საზრუნავს და პრიორიტეტს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და მისი სრულყოფა წარმოადგენდა. შესაბამისად გიუჯეტიდან მნიშვნელოვანი თანხებიც სწორედ სამშენებლო სამუშაოებს ხმარდება.

ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად დაიხარჯება 22 398 987 ლარი; მათ შორის:

ადგილობრივი გიუჯეტიდან 9 120 032 ლარი;
რეგიონალური განვითარების ფონდიდან – 8 354 657 ლარი;
მთის ფონდიდან – 716 794 ლარი;
სოფლის მხარდაჭერის პროგრამისათვის 446 000 ლარი;
განახლებული რეგიონების პროგრამისათვის – 1 641 238 ლარი;
საჯარო სკოლები დაფინანსდა – 97 060 ლარით;
სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის – 2 740 000 ლარი.

გზების რეაბილიტაცია განხორციელდა:

ქ. ბორჯომში კოსტავას ქუჩაზე (იუსტიციის სახლის მიმართულება);

სოფელ ქვაბისხევში ეკლესიასთან მისასვლელი გზისა და სოფელ ქობისხევში სკოლის უკან მდებარე უბნის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;

ბაკურიანში განხორციელდა წაქაძის ქუჩის ჩიხის (სასტუმრო ,,მზიური ველის" მიმდებარედ) რეაბილიტაცია;

სოფელ საკირეში კეთილმოეწყო შიდა საუბნო

გზა;

სოფელ მოლითის მისასვლელი გზა მოასფალტდა;

სოფელ დგვარში დამთავრდა შიდა საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ მზეთამზეში თედიაშვილების უბანში საავტომობილო გზის, ხოლო სოფელ ტიმოთესუბნის ახალ დასახლებაში შიდა საუბნო გზის რეაბილიტაცია;

სოფელ დვირში ხუციშვილების უბანში გზის რეაბილიტაცია;

სოფელ ყვიბისში დამთავრდა ბერის საყდრებში მისასვლელი (I მონაკვეთი) გზის რეაბილიტაცია.

აღნიშნული სამუშაოების შედეგად ჯამში მოწესრიგდა 8 კილომეტრიანი გზა.

განხორციელდა ფეხით სავალი ნაწილის რეაბილიტაცია:

ბორჯომში მოწესრიგდა გზის გამყოლი მოაჯირები, ფანჩატურები და ავტომოსაცდელები;

მგზავრთა ფეხით სავალ ტროტუარებზე დამონტაჟდა ბეტონის ბოძკინტები.

საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის ფარგლები მიმდინარეობს საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთება და ზამთრისათვის მომზადება.

წყალსადენებისა და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის

ფარგლებში განხორციელდა:

ციხისჯვარში სასმელი წყლის სათავე ნაგებობის და მაგისტრალური მილსადენის რეაბილიტაცია.

მზის ელექტროსადგურების შეძენა განხორციელდა მაღალმთიან დასახლებებში: თორში, გუჯარეთში, კოდიანზე და გომნაში მცხოვრები მო-

სახლეობისათვის.

სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს:

ბორჯომში რუსთაველის ქ№85 და №93-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების და ფასადების რეაბილიტაცია;

ბორჯომში მესხეთის ქ. №146ა და 146ბ-ში არსებული ავტობაზის რეაბილიტაცია;

ბორჯომში რუსთაველის ქ. №107 მდებარე შენობის სახურავის რეაბილიტაცია.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში 2023 წელს განხორციელდა:

რუსთაველის ქ. I შესახვევის №5 საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია;

გურამიშვილის ქ. №4-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გამაგრების სამუშაოები;

თორის ქუჩა №58 და №60-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია;

9 აპრილის ქ. №22-ში და რუსთაველის ქ. №95 არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია;

ბორჯომში შანიძის ქ. №9-ში საცხოვრებელი კორპუსის საკანალიზაციო მაგისტრალის რეაბილიტაცია;

ბორჯომში ფიროსმანის ქ. №19-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია;

ბორჯომში რუსთაველის პირველი შესახვევი №1ა-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია;

ბორჯომში, პეტრე იბერის ქ. №7, და რუსთაველის ქ. №79-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია;

ბორჯომში. მესხეთის ქ. N7-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს რეაბილიტაცია;

ბორჯომში, რუსთაველის ქუჩა №147-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გამაგრების სამუშაოები;

ბორჯომში, ფალიაშვილის ქ. N4-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის სახურავზე თოვლდამჭერების მონყობა;

ბორჯომში, თორის ქ. №N118-ში და მესხეთის ქ. №105 და №107 მრავალსართულიანი კორპუსის ლიფტების რეაბილიტაცია;

სამუშაოები მიმდინარეობს:

ბორჯომში, მესხეთის ქ. N107-ში და №105, ნინოშვილის ქ. №1ბ საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაციისათვის;

ბორჯომში, რუსთაველის ქ№69-ში საცხოვრებელი კორპუსის გარე კანალიზაციის მაგისტრალის რეაბილიტაცია.

საყრდენი კედლების რეაბილიტაცია განხორციელდა:

ბორჯომში, თორის ქ. №40-ის მიმდებარედ და გელოვანის ქუჩის ფერდის დამცავი კედლის მოწყობის, სოფელ ქობისხევში ნაპირსამაგრი კედლის, ბორჯომში გოგიას ციხის ქ№6-ში საყრდენი კედლის, დაბა წაღვერში მდ. გუჯარულაზე ნაპირდამცავი საყრდენი კედლის და სოფ. მზეთამზეში საავტომობილო გზის დამცავი საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

სოფელ ყვიბისში, ე.წ "„კვახიანი" ღელეზე, "ნაპირდამცავი კედლის და ბორჯომში რუსთაველის ქ.№107-ში საყდენი კედლის მოწყობა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების გამყოლი სანიაღვრეების რეაბილიტაციის და მოვლა-პატრონობის სამუშაოები.

სკვერების რეაბილიტაცია განხორციელდა:

ბორჯომში, რუსთაველის ქუჩაზე სანაპიროზე სკვერის მოწყობა (მე-2 ეტაპი);

ბორჯომში სადროშე ბოძის მონტაჟის სამუშაოები;

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე **(გამარჯვების ქ.№33, ხანძთელის ქ. №N1, ნიკოლაძის ქ. №19, მესხეთის ქ. №31გ. --№105, რუსთაველის ქ. №91-ის და №93-ის მიმდებარედ, თორის ქ. №6, რუსთაველის ქ. №83-ის მიმდებარედ, თორის ქ. №118, წმინდა ნინოს ქუჩის მიმდებარედ არსებული სკვერების რეაბილიტაცია;**

ბორჯომში კოდების წამკითხველი კუბების, საინფორმაციო მონიტორებისა და მ.კოსტავას ბაღში ღია კინოთეატრისათვის მონიტორისა და აპარატურის შეძენა.

სამოქალაქო გიუჯეტის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფელ სადგერიდან გოგირდის აბანომდე ჩასასვლელი საფეხმავლო ბილიკის რეაბილიტაცია.

სახელმწიფო პროგრამა ,,განახლებული რეგიონების ფარგლებში" სამშენებლო სამუშაოები დასრულდა ბორჯომში მ. კოსტავას სახელობის პარკში და კოსტავას მოედანზე.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა:

33 სოფელში განხორციელდა 36 პროექტი, კერძოდ:

სკვერების რეაბილიტაცია განხორციელდება - 7 სოფელში;

სასმელი წყლის რეაბილიტაცია - 10 სოფელში;

გზები და გზისპირა მოსაცდელები - 4 სოფელში;

ხიდების რეაბილიტაცია -1 სოფელში;

გარე განათების ქსელი - 3 სოფელში;

სანიაღვრე ქსელი და სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია განხორციელდა - 4 სოფელში;

სასაფლაოს შემოღობვა - 2 სოფელი;

სპორტული ინფრასტრუქტურა - 3 სოფელი.

სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდა:

ბორჯომში რობაქიძის ქუჩაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული მდ. მტკვრის ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა;

ბორჯომში, მესხეთის ქუჩა №31-ში სამგზავრო ლიფტის რეაბილიტაცია;

ბორჯომში მესხეთის ქ. №31-ში 16 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს:

საკირეში სტიქიის შედეგად დაზიანებული ნაპირსამაგრი კედლისა და ხიდის რეაბილიტაცია.

საჯარო სკოლების რეაბილიტაციის ფარგლებში განხორციელდა:

ბორჯომში მესხეთის ქ N89-ში მდებარე სსიპ ბორჯომის ლიკანის საჯარო სკოლის (გარე ფასადი, შიდა ინტერიერი, სახურავი ნაწილობრივ) სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაციის ფარგლებში განხორციელდა:

დაბა ახალდაბაში საბავშვო ბაღის შენობის ფასადის რეაბილიტაციის სამუშაოები და საბავშვო ბაღის შენობის სახურავზე მზის პანელების მონტაჟი;

ბორჯომის N4 საბავშვო ბაღის შენობის სახურავისა და შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სპორტული მოედნების რეაბილიტაციის ფარგლებში განხორციელდა:

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოფ. ტაძრისში მინი სპორტული მოედნის მოწყობა;

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ 5 ლოკაციაზე გარე გამოყენების ქუჩის ტრენაჟორების გადახურვის რეაბილიტაციის სამუშაოები;

ბორჯომში მესხეთის ქ. №N43-ში და ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბაში არსებული სპორტული მოედნების რეაბილიტაცია.

კულტურის სფეროს დაწესებულებების ფარგლებში განხორციელდა:

ეროვნული სახალხო და საგანმანათლებლო ღონისძიებებისათვის დაიხარჯა 427 112 ლარი;



ბორჯომში წმინდა ნინოს ქუჩა №N11-ში ბიბლიოთეკის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ტურიზმის ხელშეწყობაზე - 10 590 ლარი;

ახალგაზრდობის მხარდაჭერაზე (დახმარება) - 190 191 ლარი;

სპორტის ხელშეწყობაზე - 27 880 ლარი.

2023 წელს ბორჯომს სტუმრობდა: - 559 240 ტურისტი.

მათ შორის: საქართველოს მოქალაქე - 20 586 ადამიანი;

უცხოელი ვიზიტორი - 79 314 ადამიანი;

სოციალური მონაცემები ნოემბრის ჩათვლით:

სტაციონალური მომსახურება გაეწია - 1606 ადამიანს, თანხით - 1 149 972 ლარი;

ოპერაციები ჩაუტარდა - 896 ადამიანს, თანხით - 119 611 ლარი;

100 წლის ბებო გვლოცავს

სიყვარულით სავსე

თავისი მრავალსაუკუნოვან გაზეთ „ბორჯომის" რედაქციას უამრავი ღვაწლმოსილი თანამშრომელი ყავდა და დღესაც ჰყავს. ალბათ ახალი წლის ნომერი ამ არაჩვეულებრივი ქალბატონის გარეშე წარმოუდგენელი იქნებოდა და გადავწყვიტეთ, რომ ჩვენ მკითხველებს კიდევ ერთხელ გავახსენოთ მთელ მუნიციპალიტეტში ერთადერთი მხცოვანი და ღვაწლმოსილი პიროვნება, 100 წელს მიტანებული ქალბატონი თინა მაისურაძე, რომლის საუკუნოვანი იუბილე მარტში აღინიშნება.

ქალბატონი თინა მეოცე საუკუნის დასაწყისში დაიბადა. პირველი საშუალო (მაშინდელი ვაჟთა სკოლა) დაამთავრა და როდესაც ომი დაიწყო, სწორედ იმ წელს ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. მეოთხე კურსიდან ბორჯომის №2 საშუალო (მაშინდელი ქალთა სკოლა) სკოლაში ბუნებისმეტყველების მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. ორი წლის შემდეგ ქვაბისხევის სკოლაში გადავიდა, სადაც 8 წელი იმუშავა. შემდეგ გაზეთ „ბორჯომის" რედაქციაში დაიწყო მუშაობა კორექტორად, სადაც წლების მანძილზე იმუშავა. იმხანად გაზეთში მუშაობა საკმაოდ რთული იყო. გაზეთი ფაქტიურად ხელით იწყობოდა და კორექტურას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ქალბატონმა თინამ სიძნელეებს თავი ბრწყინვალედ გაართვა.

ჩემ კითხვაზე, რა ენატრება მას განვლილი წლებიდან ყველაზე მეტად, რა მოსწონს დღევანდელ დღეს და როგორ შეაფასებდა როგორც ქვეყანაში, ასევე მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებს? მითხრა, რომ თავისი მშობლიური სოფელი ქვაბისხევი ენატრება, სადაც მშობლები ცხოვრობდნენ. რაც შეეხება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, ბედნიერი და მოხარულია, რომ საქართველომ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი მიიღო, რაც მთავარია, ქვეყანაში მშვიდობიანი ცხოვრება გრძელდება. განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ ოთარ არბოლიშვილს, რომელმაც კონკრეტულად მათი, წმინდა ნინოს ქუჩის მაცხოვრებლებისთვის ბევრი რამ გააკეთა, წლების მანძილზე ქუჩა, რომელიც მიტოვებული და მოუწესრიგებელი იყო, ასფალტი დაიგო, მოწესრიგდა და გაკეთდა საბავშვო სივრცეები, ამიტომაც უდიდესი მადლობა მას როგორც პირადად ჩემი, ასევე ამავე ქუჩის მაცხოვრებლებისგანო.

ქალბატონ თინას დიდი ოჯახი ჰყავს - მეუღლე რუბენ (კაკო) გოგეშვილი გახლდათ, რომელიც წლების მანძილზე მინწყლების პარკის დირექტორად მუშაობდა და დიდი ხნის გარდაცვლილია. ასევე ჰყავს 4 ქალიშვილი, 5 სიძე, 3 რძალი, ექვსი შვილიშვილი და ათი შვილთაშვილი.

ქალბატონი თინა ჯანმრთელობას არ უჩივის, ამბობს, რომ მიუხედავად ასაკისა, თავს მხნედ გრძნობს. ამბობს, რომ ერთდერთი რაც ცხოვრებაში ასულდგმულებდა, ადამიანების უსაზღვრო სიყვარული იყო და დღესაც ამ რწმენით საზრდოობს.

გაზეთ „ბორჯომის" აქტიური მკითხველია და ყოველკვირეულად კითხულობს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნებულ სიახლეებს.

- მინდა ჩემს საყვარელ ბორჯომელებსა და ჩემთვის ძვირფას გაზეთ „ბორჯომის" რედაქციის თითოეულ თანამშრომელს მივულოცო 2024 წლის შემობრძანება, ჩემ ასაკამდე მოიყარენით. სიკეთე, სიხარული, სიყვარული, ბედნიერება, გამთლიანება და განვითარება არ მოკლებოდეს სრულიად საქართველოს, - ასე ტკბილად დაგვლოცა ქალბატონმა თინამ.

ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს კეთილშობილი თინა ბებო.

ნატო მელიქიძე

პირნათლად შესრულებული სამუშაოები

გზების მოვლა-პატრონობა ფირმა „მშენებელი 2012“-ის შრომითი კოლექტივისათვის მთავარი საზრუნავია. 24 საათიანი სამუშაო განრიგი შეფერხების გარეშე მათი სამსახურისათვის ჩვეული ამბავია. 100 მეგზევე ბატონ ვახტანგ კაპანაძის ხელმძღვანელობით მუდმივად მზადაა შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები. მათ შორის არის გზებისა და ხიდების, სახლებისა და სხვადასხვა სამოქალაქო ობიექტების მშენებლობები. გასულ წელთან შედარებით შესრულებული სამუშაოთა მოცულობა 3-4-ჯერ გაიზარდა. საკუთრებაში არსებული 23 ერთეული მექანიზმი უზრუნველყოფს წარმატებულ მუშაობას ობიექტებზე

სურათზე: ფირმა „მშენებელი - 2012“ ხელმძღვანელი გუნდი ობიექტზე გასვლის წინ. ნ. ქარელის ფოტო

ფირმის ხელმძღვანელი თავის უპირველეს მოვალეობად მიიჩნევს, წელიწადში სულ მცირე 2 ერთეული მძლავრი ტექნიკის შეძენას. ტექნიკის გარეშე შეუძლებელია შრომატევადი სამუშაოების შესრულება.

როგორც ბატონმა ვახტანგმა გვითხრა, ფირმას 130 კილომეტრიანი გზის მოვლა-შენახვა ავალია და ყველაფერს აკეთებენ ამ მონაკვეთის სანიმუშო მდგომარეობაში შენახვისათვის.

გზების აღდგენის პარალელურად დიდი მოცულობის სამუშაოები შეასრულეს ყვიბისში არსებული №2 ჩამომსხმელი ქარხნის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით.

- წლების მანძილზე ბევრს საუბრობდნენ მიტარბის გზაზე შექმნილ სირთულეებზე. საფრთხის შემცველი პრობლემა აღმოვფხვარით, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა უთხრა ბორჯომის მუნიციპალიტეტის **მერს ოთარ არბოლიშვილს.** მისი დახმარებით ბათუმიდან და თბილისიდან მოვიწვიეთ შესაბამისი სამსახურები და დღეს გზა სანიმუშო მდგომარეობაშია და ავტომობილების გადაადგილება უსაფრთხოა.

თითქმის გაუვალი გზა გავიყვანეთ ლიბანში, რველში სასაფლაომდე მისასვლელი გზის გაყვანის სამუშაოებიც დასრულდა და ცხრაწყაროს საგუშაგომდე მისასვლელ რთულ მდგომარეობაში არსებული გზაც სანიმუშოდ მოწესრიგდა.

ჩვენი მუშაობა ხშირად მოწოდებული მასალის ხარისხზეა დამოკიდებული. არის შემთხვევები, როდესაც უხარისხო მასალას გვაწვდიან. ფაქტია, უხარისხო ნედლეულით ხარისხიან გზას ვერ გააკეთებ, რაც სერიოზულ პრობლემებს გვიქმნის მუშაობაში, განაცხადა **ვახტანგ კაპანაძემ.**

ფირმა „მშენებელი 2012“ - სახელს ამართლებს, წლებია აშენებს, ამშვენებს და მთელი წლის მანძილზე ზრუნავს ჩვენს ქალაქზე, მოქალაქეებისა და სტუმრების კეთილდღეობაზე.

საუბრის დასასრულს ბორჯომის საპატიო მოქალაქეს, ბატონ ვახტანგ კაპანაძეს ვთხოვეთ, რომ ბორჯომელებისათვის დამდეგი 2024 წელი მიელოცა.

- ჩემ მშობლიურ ბორჯომს, ბორჯომელებს, სრულიად საქართველოს მივულოცავ ახალ წელს, ვუსურვებ ქვეყნის გამთლიანებას. ამასთან მივულოცავ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებას.

ქართველ ხალხს ვუსურვებ ღირსეულ ცხოვრებასა და ბედნიერ მომავალს, თითოეული მათგანი იმსახურებს დაფასებას და ყურადღებას. მახარებს ქვეყნის ხელმძღვანელობის მიზანმიმართული და წარმატებული ნაბიჯები. სიკეთე არ იკარგება და შრომა ყოველთვის ფასდება. მწამს, მომავალი კიდევ უფრო უკეთესი იქნება. წინსვლისა და გამარჯვების წელი ყოფილიყოს განურჩევლად ყველა თქვენგანისათვის. ამ სიტყვებით დაგვლოცა ბატონმა ვახტანგმა.

მოამზადა იზა იანვარაშვილმა

სოციალური სფერო

ახალი წლიდან სადილი კვირაობითაც გაიცემა

ბორჯომში უფასო სასადილო 2008 წლიდან ფუნქციონირებს, სადაც სოციალურად დაუცველებს და სხვადასხვა კატეგორიის მქონე მოქალაქეებს უფასო სადილის მიღება შეუძლიათ. რამდენი ბენეფიციარი აღირიცხება აღნიშნულ სასადილოში, რა სახის პროდუქტებია მათზე გამოყოფილი და რა სიახლე იგეგმება მათზე სადღესასწაულო დღეებში, ამ და სხვა საკითხების ირგვლივ, ბორჯომის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მომსახურების ცენტრის დირექტორს ბატონ ვაჟა გელაშვილს გავესაუბრეთ.

ბატონო ვაჟა, სულ რამდენი ბენეფიციარი აღირიცხება უფასო სასადილოში და რა კატეგორიის ადამიანები არიან ძირითადად?

- ჩვენ უფასო სასადილოში 275 ბენეფიციარი აღირიცხება. ესენი არიან სოციალურად დაუცველები, რომლებიც 160 000-მდე ქულას ფლობენ. ასევე გვაქვს დამატებით სარეზერვო სია, სადაც 25 ბენეფიციარია და ისევე სარგებლობენ ჩვენი მომსახურებით, როგორც დანარჩენი 275 ბენეფიციარი.

რა სახის პროდუქტებისაგან შედგება მათი ყოველდღიური კვების რაციონი?

- ჩვენ ბენეფიციარებს ვთავაზობთ 400 გრამ პურს, ასევე ცილოვან პროდუქტებს, თევზს, ქათმის ხორცს, ფილეს, სოსისს, წვნიანს და ლომონათს. ამ წელს ასევე დავამატეთ ქათმის ღვიძლი, კარაქი, რძის ფხვნილი.

რა რაოდენობის თანხაა განკუთვნილი თითოეული ბენეფიციარისთვის?

- თითოეული ბენეფიციარის კვებისათვის განკუთვნილი დღიური ნორმა 3.50 ლარს შეადგენს, რომელიც 2024 წლისთვისაც უცვლელი დარჩება. მინდა აღვნიშნოთ, რომ გარდა უფასო სასადილოს სარგებლობისა, ჩვენი ბენეფიციარები, რომლებიც სხვადასხვა სოფლებიდანაც დადიან, უფასო ტრანსპორტით სარგებლობენ, მათ აქვთ სპეციალური ბარათები, რომლითაც მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული ნებისმიერი ტრანსპორტით უფასოდ შეუძლიათ გადაადგილება.

როგორი იქნება სადღესასწაულო დღეებში ბენეფიციარების სუფრა?

- ვაშლი, მანდარინი, ზეთი, ქათმის ფილე, ტკბილეული.

მომავალი წლიდან თუ იგეგმება რაიმე სიახლე?

- პირველ რიგში ვისარგებლებ შემთხვევით და გეტყვით, გასულ წლებში იყო გაუგებრობა იმასთან დაკავშირებით, რომ რაკიღა სადღესასწაულო დღეებში საუბარი იყო გარკვეული სახის პროდუქტების გაცემაზე, უამრავი ადამიანი მოდიოდა და სამწუხაროდ, მათ არ გააჩნდათ დამაკმაყოფილებელი ქულა. ამიტომ, მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართო ამ ადამიანებს და განვუმარტო, ეს დახმარება კონკრეტულად, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენ სასადილოში რეგისტრირებულ ბენეფიციარებზე ვრცელდება და არა უშუალოდ ყველა სოციალურად დაუცველზე, რათა ამით ერთგვარად ავიცილოთ უხერხულობის მომენტი.

ახლა, რაც შეეხება სიახლეებს, გეტყვით იმას, რომ მომავალი წლიდან უფასო სასადილოში პროდუქტის გაცემას დაემატება კვირა დღეც და კვირა დღისთვის გასაცემი პროდუქტები შაბათს გაიცემა.

ესაუბრა ნატალია მესხელი

ხელოვანი ადამიანების საახალწლო საჩუქრები

დედის სამკაული ჩემი თილისმაა

ბოლო რამდენიმე წელია სულ უფრო მეტად პოპულარული და მოთხოვნადი ხდება ხელნაკეთი ნივთების მოხმარება და იზრდება როგორც აღნიშნული ნივთების დამამზადებელთა, ასევე მათი მომხმარებელთა რიცხვიც. როდესაც საქმე გემოვნებიან და ნატურალური ქვებით დამზადებულ სამკაულებს ეხება, ყოველთვის მახსენდება საკუთარ საქმეზე უზომოდ შეყვარებული ხელოვანი ქალბატონი ნანა ფაფაკერაშვილი. ალბათ ბორჯომში იშვიათად მოიძებნება ქალბატონი, ვისაც ნანას ერთი ხელნაკეთი ნივთი მაინც არ ჰქონდეს. პირადად მეც, მისი სამკაულების მომხმარებელი ვარ და მინდა გითხრათ, რომ მისი სამკაულები ყოველთვის გამორჩეული და რაც მთავარია, გემოვნებითაა შექმნილი. ნანა ხელნაკეთი სამკაულების გარდა სხვადასხვა ნივთებსაც ქმნის. გვინდა ამ შესანიშნავ ქალბატონს ჩვენი მკითხველებიც იცნობდეთ.

ნანა, როდის დაიწყეთ ნივთების დამზადება და პირველი ნივთი რომელიც შექმენით?

- საკმაოდ პატარა ასაკიდან ვაკეთებდი ყველაფერს. პირველი ნივთი ნაჭრის თოჯინა იყო, რომელიც საქსოვი ძაფის კიკინებით, თვალები შავი ფერის ღილებითა და ჩემი შეკერილი ჭრელი კაბით დავამზადე. ძალიან მომწონდა, კედელზე დავკიდე, მინდოდა, სულ მეყურებინა, მაშინ სკოლის მოსწავლე ვიყავი. ყოველთვის კარგად ვქარგავდი, ვქსოვდი. რასაც კი დავინახავდი მაღაზიაში, ვფიქრობდი, მეც აუცილებლად გამომივიდოდა. თითოეული ნივთის დამზადება ძალიან დიდი სტიმული იყო, რომ დამემზადებინა.

ნივთების დასამზადებლად ძირითადად რა სახის მასალას იყენებთ?

- უამრავ წვრილმანს ვიყენებ. მაგალითად: სილიკონის წებოს, ჯვალოს ტომარას, სხვადასხვა ფერის ძაფებს, ფუმფულა ბეწვს, ყავას, სინთიფონს, ელვაშესაკრავებს. ხშირად ვსტუმრობ მეორად მაღაზიას, სადაც საახალწლო ნივთების დასამზადებლად ვყიდულობ სხვადასხვა მატერიას და ბეწვს.

რაც შეეხება კონკრეტულად სამკაულების დამზადებას, როდის დაამზადე პირველი სამკაული?

- დაახლოებით 20-22 წლის წინ დავამზადე პირველი სამაჯური. დედას დაშლილი მძივი ქონდა, რომელიც ავაწყე და გამოვიდა საოცრად ლამაზი. ძალიან მიყვარს ეს სამაჯური. ჩემი თილისმაა და თან დედის სახსოვარია, ვთვლი, რომ ამ სამაჯურის დამსახურებაა, ამდენი წლის მერეც ასე აქტიურად რომ ვამზადებ სამკაულებს. რა თქმა უნდა, ამას ხელოვნებისადმი დიდი სიყვარულიც ემატება. ამის დასტურია ისიც, რომ მყავს უამრავი მადლიერი მომხმარებელიც.

სამკაულებს ძირითადად ნატურალური ქვებისაგან ამზადებთ. ყველა ზოდიაქოს ნიშანს თავისი ქვა შეესაბამება. თუ არსებობს ერთი კონკრეტული მინერალი, რომლის ტარებაც ყველა ადამიანს შეუძლია?

- ყველა მინერალით ნივთს დიდი მონდომებით ვაკეთებ, მაგრამ გამოვარჩევდი აქატს, რადგან არის ყველაზე დადებითი ენერგიისა და სამკურნალო თვისებების მატარებელიც და საოცარი მუხტი მოდის მისგან, უამრავი ფერი აქვს და მიეკუთნება ყველა ზოდიაქოს ნიშანს. ადამიანს იცავს ყველანაირი ცუდი აურისაგან, აძლიერებს შინაგან ენერგიას.

ნანა სამაკულების რეალიზებას სად ახდენ?

- პანდემიამდე 3 წლის განმავლობაში ჩემს ნამუშევრებს ვაბარებდი რაბათის ციხეზე არსებულ პატარა სუვენირების მაღაზიაში, სადაც უამრავი ტურისტი ყიდულობდა და მიქონდათ მეგობრებისთვის და ოჯახის წევრებისთვის სიმბოლურ საჩუქრად. როდესაც მირეკავდნენ და მატყობინებდნენ, რომ გაიყიდა და კიდევ მიმეტანა, გული სიხარულით მევსებოდა. წლები მართლაც დასამახსოვრებელი იყო. მაქვს ჩემი საკუთარი ფეისბუქ გვერდი ,,ნანას ხელნაკეთი სამკაულები“, სადაც ყველა ჩემი ნამუშევრის ხილვა და შეკვეთაა შესაძლებელი. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბორჯომის მუნიციპალიტეტს, რომ აფასებენ ჩემს შემოქმედებას და ყოველ წელს მეხმიანებიან, ბორჯომობისა და ახალი წლის დღეებში ჩატარებულ გამოფენა-გაყიდვაზე.

როგორ გგონია, შეიძლება რომ სრულიად უბრალო სამოსი კარგად შერჩეულმა სამკაულმა სადღესასწაულოდ აქციოს?

- რა თქმა უნდა, მე ყოველთვის მივესალმები და ვიტყვი, რომ ყველაზე უბრალო სადა ტანისამოსზე შეიძლება ფერადმა მძივმა, სამაჯურმა ან სადა პიჯაკზე გაკეთებულმა გულსაბნევმა შეიძლება სულ სხვა ხიბლი შემატოს და სადღესასწაულოთ გადააქციოს.

2024 წელს დრაკონის წელია, რომელ ფერზე იქნება მოთხოვნა და გაითვალისწინებთ თუ არა ახალ ტენდენციებს თქვენ ნამუშევრებში?

- 2024 წელი ცეცხლოვანი მწვანე დრაკონის წელია და აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, წელს აქტუალური ფერები წითელი მწვანე და ყვითელი იქნება. შევეცდები, გავითვალისწინო და სწორედ ამ ფერებით შევქმნა ულამაზესი სამკაულები ჩემი ერთგული მომხმარებლებისთვის.

რას უსურვებდით თქვენ ერთგულ მომხმარებლებს და სრულიად საქართველოს ახალ 2024 წელს?

- 2024 წელს ყველა ბორჯომელს და არა მარტო ბორჯომელს, ვუსურვებ პირველ რიგში მშვიდობას, ჯანმრთელობას, ბედნიერებას სიხარულს. პირადად ჩემი სამკაულების ერთგულ მომხმარებლებს, უცნობებს, ნაცნობებს, ვეტყვი, რომ ყველანი ძალიან მიყვარს და უზომოდ ბედნიერი ვარ. როდესაც თქვენ ირჩევთ ჩემს სამკაულს, სხვებსაც ჩუქნით და სიხარულით მეუბნებით, რომ თილისმად გექცად და რომ ხელიდან ვერ იხსნით, ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს!

ნატო მელიქიძე

მაია ექიმის კომფორტული გარემო ბავშვებს

მაია ტურაბელიძეს, როგორც მშვიდ, გაწონასწორებულ, თბილ და მოსიყვარულე 3 შვილის დედას, ბორჯომელთა უმრავლესობა კარგად იცნობს. მშობლების, მამიდის, ბაბუისა და ბებიის სამედიცინო სფეროში საქმიანობამ და ამასთან, ოჯახში ჯანდაცვის სფეროზე ხშირად საუბარმა, თავადაც სამედიცინოზე სწავლა გადააწყვეტინა. მისი სამუაშაო დღეები სტომატოლოგიურ კლინიკა „იმპლანტ სტუდიოს“ უკავშირდება, სადაც უკვე წლებია მუშაობს თერაპევტად და ბავშვთა ქირურგიის სპეციალისტად. 22 წლის წინ სპეციალობით მუშაობა უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე დაიწყო და პირველი პაციენტის მიღებას, რა თქმა უნდა, ემოციებიც ახლდა.

- თავდაპირველად იყო დაძაბულობა, რაიმე არ შემეშალოს, ყველაფერი სწორად გავაკეთო-მეთქი, მაგრამ უფროსი კოლეგების დახმარებით წარმატებით დავასრულე პირველი პაციენტის მიღების სამუშაო დღე. ახლა კი დღეს ყოველთვის იმ განცდით ვამთავრებ, რომ შესაძლებლობის მაქსიმუმი გავაკეთე, ისე, როგორც საჭირო იყო.

მაია ექიმის პაციენტებს შორის ბავშვებიც ხშირად არიან. მათ კი მოგეხსენებათ, როგორი ფრთხილი და განსხვავებული დამოკიდებულება სჭირდებათ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ახალბედა დედებიც მათთან ერთად ძალიან ღელავენ.

- ყოველთვის უნდა იყოს გათვალისწინებული პატარა პაციენტების ემოციური მდგომარეობა, რადგან არ დაიძაბოს, არ გაუჩნდეს შიში ექიმის მიმართ, არ მიიღოს ბავშვმა ვიზიტის გამო ტრამვა. მოფერებით ვეუბნები, რა უნდა გაკეთდეს, როგორ უნდა გაკეთდეს, თუმცა არის ისეთი შემთხვევები, როდესაც არ სურს მოგისმინოს. ამ დროს ერთი გზა რჩება, მიჰყვე და მოიპოვო ნდობა და თანხმობა, ან თუ შესაძლებელია, ვიზიტი გადადო. მის განწყობასა და ხასიათს მიჰყვე, ან მოფიქრებისთვის დრო მივცეთ, რათა სტრესი მინიმუმამდე იყოს დაყვანილი და მიეჩვიოს ჩვენს გარემოს.

ბუნებრივია, ამ დროს მშობლების მღელვარებაც. ჩვენ შესაბამის გარემოსა და განწყობას ვუქმნით თითოეულ პაციენტს, რისთვისაც მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენი კლინიკის ხელმძღვანელს ექიმ ვლადიმერ ბაჯიაშვილს.

როგორც საუბრისას გვითხრა, ერთადერთი მუშაობისას ვერ პასუხობს ზარებს, სხვა შემთხვევაში მასთან თითოეული ზარი პასუხგაუცემელი არ რჩება.

- ხშირ შემთხვევაში ბავშვებს სჭირდებათ ორთოდონტული მომსახურება, რაც გულისხმობს კბილების გასწორებას. ხშირია ბავშვებში კარიესიც. გენეტიკურ ფაქტორთან ერთად, აღნიშნულს დამატებული კვების ხასიათიც განაპირობებს. ბავშვთა უმრავლესობა მაგარ საკვებს არ მიირთმევს, ძირითადად რბილი საკვებით იკვებება, რის გამოც ყბა სათანადოდ ვერ ვითარდება. მოგვიანებით, ყბა არის ჩამორჩენაში. თანამედროვე ბავშვები ყველაფერს რბილს მიირთმევენ და ყბა ვერ ვითარდება, ამიტომ შემდეგ კბილებს ადგილი აღარ აქვს პირის ღრუში.

კარიესის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია სწორად დაიცვან ჰიგიენის ნორმები. სიზარმაცე ხალისით ჩავანაცვლოთ და სრულფასოვნად მოხდეს მისი დაცვა და შესრულება. მშობლებს ვურჩევ, 6 თვეში ერთხელ ატარონ ბავშვები ექმთან კონსულტაციაზე. მიეჩვიონ ჯანსაღი ცხოვრების წესს და ადრეულ ეტაპზე გამოვლინდეს კარიესის დასაწყისი სტადია, რათა თავიდან ავიცილოთ შემდგომ უფრო ღრმა პროცესები და გართულებები.

პროფესიიდან გამომდინარე დროის დიდ ნაწილს კლინიკაში ატარებს. ოჯახის წევრები მეუღლე დავით ჩხიკვაძე, დედამთილ-მამამთილი, დედა მუდმივად გვერდით უდგანან.

- მადლობა მინდა გადავუხადო მათ გვერდით დგომისათვის. შვილები ყოველთვის ცდილობენ, დამოუკიდებლად შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობები. უფროსი შვილი სტუდენტია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე სწავლობს, ნიკოლოზი აბიტურიენტია, თამარი კი მესამე კლასშია.

ჩემთვის მთავარია, რომ კარგი ადამიანები ჩამოყალიბდნენ.

ექიმის დიდი ოჯახი ახალ წელს ერთად ხვდება. ქართული ტრადიციებით გაჯერებული წესებით და სიხარულით ულოცავენ ერთმანეთს ახალი წლის შემობრძანებას. ბედნიერების, სიკეთის, ხვავისა და ბარაქის წელს უსურვებენ ოჯახის წევრებსა და სრულიად საქართველოს. ამბობს, რომ ყველა წელს ყოველთვის თავისი დადებითი თვისება აქვს. გამორჩეულ წლებად შვილების დაბადების თარიღს ასახელებს, ესენია - 2005, 2007 და 2015 წელი.

2024 წელს ყველა მოქალაქეს სიხარული და ჯანმრთელობა, საუკეთესო განწყობა, წარმატებები უსურვა და თბილი ღიმილით დაგვემშვიდობა.

იზა იანვარაშვილი

მხოლოდ საქართველოში

მხოლოდ საქართველოში ეკამათებოდა ქართველი, მართლმადიდებელი მეფე მუსლიმ იმამებს მათივე რელიგიის დოგმების შესახებ. **(დავით აღმაშენებელი);**

მხოლოდ საქართველოში წირავდა ადამიანი თავს საკუთარი მამის მკვლელის შვილისათვის **(დავით ევჯიბი);**

მხოლოდ საქართველოში მიაცილებდა დედოფალი ამალას ფეხშიშველი **(თამარ მეფე);**

მხოლოდ საქართველოში ამბობენ **„შენი ჭირიმე“, „შენი კვნესამეს“;**

მხოლოდ საქართველოში ლოცულობენ მუსლიმი შიიტები და სუნიტები ერთად **(თბილისის მეჩეთი);**

მხოლოდ საქართველოში ყავს ყველა დღეს საკუთარი მფარველი წმინდა გიორგი **(365 წმ. გიორგის ეკლესია);**

მხოლოდ საქართველოში დადიოდნენ მეფეები გლეხად გადაცმულნი. **(გიორგი პირველი);**

მხოლოდ საქართველოში ცხრებოდა აჯანყება ქალის პატივისცემის გამო. **(ყუთლუარსლანი და ორი წარჩინებული ქალბატონი);**

მხოლოდ საქართველოში და მხოლოდ ქართველი უწოდებს მცენარეს შვილივით ნაზარდს **(ვაზო, შვილივით ნაზარდო“);**

მხოლოდ საქართველოში უყვართ სიკვდილი **(„შენი ჭირიმე სიკვდილო, სიცოცხლე ფასობს შენითა“ - ვაჟა);**

მხოლოდ საქართველოში ზრდიდა დედა 9 ვაჟკაცს და ბრძოლის ველზეც კი ამხნევებდა მათ **(ცხრა ძმა ხერხეულიძე და მათი დედა - ელო);**

მხოლოდ საქართველოში აქვს წვიმას სამოცზე მეტი სინონიმი **(გარისობის სიტყვის კონის მიხედვით);**

მხოლოდ საქართველოში იზიარებდნენ ქართველი გმირები უდანაშაულო მეგობრების ბედის გასაზიარებლად **(ცოტნე დადიანის გმირობა);**

მხოლოდ საქართველოში **ესალმებიან სოფელში ერთმანეთს სრულიად უცხონიც კი.**

მხოლოდ საქართველოში და მხოლოდ საქართველოსთვის **ეწამა ას ათასზე მეტი ადამიანი ერთ დღეს;**

მხოლოდ საქართველოში წერდა წმინდანი მეფე სინანულით აღსავსე საგალობლებს. **(დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“);**

მხოლოდ საქართველოში იკლავდნენ თავს მეფის მესაფლავენი, რათა ვერავის შეერყვნა მისი საფლავი **(თამარისა და მისი ცხრა მესაფლავის ამბავი);**

მხოლოდ საქართველოში ამბობენ „გარდაიცვალა“, „სამოთხე“, „ღმერთი“ **(ამ უკანასკნელს გავშიფრავ - ღრმა და ერთი);**

მხოლოდ საქართველოში გვყავდა პოეტი, რომელმაც 40 ათასი ახალი რითმა აღმოაჩინა, დაწერა ლექსი, რომელიც შვეულად გაყოფით 2 სრულყოფილ ლექსს გვაძლევს („ლურჯა ცხენები“) და შექმნა პალინდრომი **(კომპოზიცია, რომელიც წაღმა და უკუღმა იკითხება);**

მხოლოდ საქართველოში მცხოვრები მოხუცი, ვაზის ჩაყრის გამო სიკვდილით დასჯილი იკრავდა საკინძეს ვაზისავე ლერწით, რათა დასაფლავების შემდგომ მის საფლავზე კვლავ ამ მცენარეს ეხარა **(ლეგენდა თემურლენგის დროს დასჯილ ბერიკაცზე);**

მხოლოდ საქართველოში იზრდებოდა თავადის შვილი გლეხის ოჯახში..

(აკაკი წერეთელი)

...და ვიღაც ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ ქართველებს საამაყო არაფერი გვაქვს!!!

საუნჯე

საახალწლო ნაჭვრა

ახალი წლის დილა თენდება,
ნათელი და შაზიანი,
ღმერთო, ბევრი შეი
აქვეყნად
ბრძენი და ჭკვიანი!
დაგვიბადე დავითები,
ცოტნე დადიანები,
ლადო ასათიანები
ბირზა გელოვანები,
თამარები, ქეთევნები
თინა წალეისელები,
შათე ბიჭის შსგავსები,
ხმალშეშართულები,
გაძლიანდეს საქართველო,
განათდეს და გაბრწყინდეს,
აღარ იყვნენ ღარიბები,
დე, ყველა გაძდიდრდეს.
საშროშელი ბევრი იყოს,
ეშიგრანტი დაბრნდეს,
დედა თავის შვილსა ზრდიდეს,
ძიძა აღარ დასჭირდეს.

„ტირიფი“

საახალწლო საჩუქარი
სამედიცინო ეტლები ბენეფიციარებს

ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 13 განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირს სამედიცინო ეტლები გადაეცათ.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ **გიორგი ტაბატაძემ** და ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის სამსახურის ხელმძღვანელმა **მიხეილ ხუციშვილმა** ბენეფიციარებს ეტლები პირადად გადაცეს.

ამ ეტაპისთვის მუნიციპალიტეტში ეტლის მისაღებად შემოსული ყველა განცხადება დაკმაყოფილებულია.

აქცია არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ დახმარებით განხორციელდა.

ინვესტიცია ბორჯომის შრბანული განვითარება

23 დეკემბერს, ეკონომიკური საბჭოს სხდომა გაიმართა. შეხვედრაზე ქალაქებისა და კურორტების განვითარების ახალი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შერჩეულ მდებარეობათა ურბანული განვიტარების კონცეფციები განიხილეს. პროგრამა პრემიერის გადაწყვეტილებით 2923 წელს დაიწყო. პირველ ეტაპზე შერჩეულია ათი მდებარეობა: ბორჯომი, ბაკურიანი, ქუთაისი, წყალტუბო, თელავი, ზუგდიდი, ბათუმი, მცხეთა, მესტია და ყაზბეგი. შემუშავებული კონცეფციების საფუძველზე ცხრა მუნიციპალიტეტში უკვე ეტაპობრივად დაიწყება მოსამზადებელი და სამშენებლო სამუშაოები, ხოლო ბაკურიანის არეალზე დაგეგმილია ტენდერების გამოცხადება.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან 5-წლიანი პროგრამისათვის 1 მლრდ ლარი არის გამოყოფილი. საუბრისას აღინიშნა, რომ ახალი სახელმწიფო პროგრამა ხელს შეუწყობს როგორც ტურიზმის განვითარებას, ისე სამუშაო ადგილების შექმნას.

ახალი ავტობუსები ბორჯომელებს

სამცხე-ჯავახეთის რეგიონების მოსახლეობას ახალი 51 ერთეული „ისუზუს“ ფირმის ავტობუსი მოემსახურება. მათ შორის 6 ახალ ავტობუსს მიიღებს ბორჯომის მუნიციპალიტეტი.

მერიამ 6 ახალი ავტობუსის შესაძენად 2 061 000 ლარი გადაიხადა.

ზამთრის სპორტული და საკურორტო სეზონი გაიხსნა

თუ ადრე (გასულ საუკუნეში) ზამთრის საკურორტო და სპორტული სეზონი დეკემბრის ბოლოს "ლელოს" და მოლოდიოჟ გრუზიის" პრიზებით იხსნებოდა, წელს ჩვენდა სასიხარულოდ მსოფლიო თასით გაიხსნა (22-23 დეკემბერი). 16 ქვეყნის 90 სპორტსმენი ჩამოვიდა და ესოდენ დიდ ორდღიან აპარეზობას მსოფლიოს წამყვანი ტელევიზიები პირდაპირ ეთერში აშუქებდნენ. ანუ საქართველო - ბაკურიანი თავისი მომხიბვლელი კოხტაგორით მსოფლიო სპორტის მოყვარულთა ეპიცენტრშია... ხოლო სპორტსმენები დიდი კმაყოფილებას გამოთქვამდნენ, როგორც ტრასების (მადლობა ბატონ **თაზო გამცემლიძეს** თავის ბიჭებით ღამეები შრომობდნენ), ასევე განთავსებებით და საერთოდ ორგანიზატორების მიმართ. მოხიბლული იყვნენ ჩვენი რელიეფით და ა.შ.

გაგვიმართლა, თოვლიც მოვიდა (ზარბაზნებიც" მწყობრში გვქონდა ხელოვნური გათოვლიანების სისტემა), შეჯიბრების მეორე დღეს - დუალ მოგულის დისციპლინის (პირველი დღე მოგულს დაეთმო) მიმდინარეობის ბოლო ეტაპზე ციდან ფიფქებიც დაეშვა და დაჯილდოება სწორედაც ფიფქების კორიანტელში გაიმართა, რამაც უფრო გაალამაზა იქაურობა.

არ ვამბობ, ვინ გაიმარჯვა,, რადგან მთავარი ისაა, რომ ღირსეულად დაიწყო ზამთრის სეზონის გახსნა, ისე როგორც ჩვენ გვეკადრება, და რადგან ასეა, ჩვენზეა, თითოეულ ჩვენთაგანზეა დამოკიდებული ყველაზე დიდი რამ რასაც გულიანი მაყურებელი და კეთილსინდისიერი მასპინძლობა ჰქვია.

პ.ს. მე ამ ტექსტის ავტორი - სოფიკო ხეთაგაშვილი და თამარ მიქაბერიძე სიამოვნებით გავხდით ამ ლამაზი დღის "მონაწილე" და ისიც გავიგონეთ, როგორი სასიამოვნო შეძახილი იყო ტრასაზე ჯაკარას მიმართ.

შემოქმედებითი საღამო

შეხვედრა პოეზიის ,,დედოფალთან“

13 დეკემბერს, საბიბლიოთეკო გაერთიანების ორგანიზებით, სამუსიკო სკოლის დარბაზში გაიმართა ექიმის, ბიოლოგის, წამყვანი პედაგოგის, ეკოლოგის, თვითნასწავლი მხატვრის, პოეზიის დედოფლად აღიარებული ქალბატონის - მარიზა ჯიქიას შემოქმედებითი საღამო, რომელსაც შესანიშნავად უძღვებოდა საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი, ქალბატონი ნაირა ამანათაშვილი.

საღამოზე წარმოდგენილი იყო პოეტის ნახატები, ლექსების კრებულები, სპექტაკლების ფრაგმენტები, მის ლექსებზე შექმნილი სიმღერების ვიდეორგოლი, სატელევიზიო გადაცემებში მონაწილეობისა და ინტერვიუების ვიდეოჩანაწერები.

ქალბატონი მარიზას ინიციატივითა და ხელმძღვანელობით შექმნილი კლუბის ,,პატარა მწიგნობარის“" წევრებმა წარმოადგინეს პოეტის მხატვრული ციკლის -,,გალაკტიონის კვალდაკვალ"“ ფრაგმენტები.

პოეტს შემოქმედებითი საღამო მიულოცეს და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარემ ბატონმა ბაღათერ არაბულმა, წევრებმა ვანო ჩხიკვაძემ და ზაალ ბოტკოველმა.

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის სახელით, ნაყოფიერი ლიტერატურული საქმიანობისათვის, ქალბატონი **მარიზა ჯიქი**ა დაჯილდოვდა თამარიონის ენდალემითა და თამარ მეფის ჯვრით.

საოცრად თბილი სიტყვით გამოვიდა არაერთი ღონისძიების ორგანიზატორი და წამყვანი, ადამიანებისათვის სიხარულის მომნიჭებელი ქალბატონი **ვიოლეტა ბალახაშვილი.** თბილი სიტყვით მიესალმა პოეტს რესურსცენტრის უფროსი **იზოლდა ლომიძე.**

№N1 საჯარო სკოლის პედაგოგმა მაია ორთოიძემ ისაუბრა **მარიზა ჯიქიას** შემოქმედებაზე.

პოეტის ბიოლოგიის სფეროში მონიჭებულ რეგალიებზე ისაუბრა ბიოლოგიის სპეციალისტმა **ვაჟა გელაშვილმა.**

მარიზა ჯიქიას ლექსები წაიკითხა მწერალთა კავშირის წევრმა მწერალმა **უშანგი ჯანგირაშვილმა.**

ბიბლიოთეკების ღონისძიებების ორგანიზატორმა **ნანა სალაღაიამ** ისაუბრა ქალბატონ მარიზას შემოქმედებით თვალსაწიერზე, ლექსის სტილზე.

საღამოს მუსიკალურად აფორმებდა **თეა მანჩხაშვილი** (ვიოლინო).

საღამოს ესწრებოდნენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ბატონი **გიორგი ტაბატაძე**, პოეტის კოლეგები, მეგობრები, მოსწავლეები და მისი პოეზიის თაყვანისმცემლები..

ბიბლიოთეკების ღონისძიებების ორგანიზატორი ნანული სალაღაია.

2023 წლის მუნიციპალიტეტის საუკეთესო სპორტსმენები

დიმიტრი ხაჩიძე - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა;
ოთარ დვალიშვილი - ბერძნულ-რომაული ჭიდაობა;
დავით გავვა - მკლავჭიდი;
ილია როსტიაშვილი - მკლავჭიდი;
ნინო პაპიძე - ძიუდო;
ნოდარი რობაქიძე - პროფესიული კრივი;
ბარბარე შონია - ჭადრაკი;
დავითი თედიაშვილი - სკრი-კროსი;
ლუკა მიქაბერიძე - საციგაო სპორტი;
ნიკოლოზ ქოზაშვილი - კარატე;
ხატია აკოფოვი - კარატე;
საბა ხაჩიძე - საციგაო სპორტი;
ესმა გოგოზოვა - ტრამპლინიდან ხტომა;
ალან გოგოზოვა - ტრამპლინიდან ხტომა;
ნოდარ კოზანაშვილი - სამთო-სათხილამურო სპორტი;
ოთარ წულეისკირი - სამთო-სათხილამურო სპორტი;
ნელი უსტიმენკო - სამთო-სათხილამურო სპორტი და საუკეთესო მკლავჭიდელი;
გიორგი ტალახაძე - მას-რესლინგი - გინესის რეკორდსმენი;

მოგილოცავთ ახალ წელსა

**მოგილოცავთ ახალ წელსა,
ჩემ საყვარელ ხალხს და ერსა,
ჯანმრთელი და ბედნიერი
შევხვედროდეთ მრავალ წელსა.
გულით და სულით გისურვებთ
სიდიადეს, სიმძლავრესა,
ჯანმრთელობას,
დღეგრძელობას,
აკვნებისა სიმრავლესა.
ყოველი ახალი წელი წინსვლა
იყოს გზა-კვალისა,
ბედნიერი ცხოვრებისა,
ყოველი ჩვენთაგანისა.
სულ ყოველთვის გვქონებოდეს
უღრუბლო ცა, ლურჯი ზეცა,
ბრწყინვალე და მოკაშკაშე
ღამით მთვარე, დღისით მზეცა.
ჩვენ დალოცვილ მთავრობასაც
ეთანაგრძნოს ხალხისთვისა,
გულით, სულით, სიყვარულით
ისე, როგორც ძმას-ძმისთვისა.
უმუშევრობა აღმოიფხვრას,
ყველას ქონდეს სამსახური,
უდარდელად, უტანჯველად,
რომ გვეჭამოს უკმა-პური.
აღარავინ აღარ ვიყოთ
არანაირ ვალებში,
სევდა, დარდი, მწუხარება
გაგვქრობოდეს თვალებში.
კაცებს, კაცობა გვეთქმოდეს,
ქალებს, ისევ ქალობა,
გვწყალობდეს და გვფარველობდეს
ყველას ღმერთის წყალობა.**

გურამ ქუნცელი (ივანიძე)

საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.

საახალწლო სუფრის განუყოფელი ნაწილი

საახალწლო სუფრა გემრიელი ტკბილეულისა და ნამცხვრის გარეშე ხომ ყოვლად წარმოუდგნელია. ამ ბოლო დროს კი, თითქოს ერთგვარ ტრადიციადაც კი იქცა ქართულ სუფრაზე საახალწლო ტორტიც, რომელსაც სხვადასხვა საკონდიტროები უამრავი სახის დიზაინით თავაზობენ მსურველებს.



საკონდიტრო ,,ტურამისუ“ ბორჯომში ერთ-ერთია, სადაც ნებისმიერ მსურველს ნებისმიერი დასახელებისა თუ დიზაინის მქონე ნამცხვრებსა და ტორტებს თავაზობს. განსაკუთრებული მზადება კი სადღესასწაულო დღეებში მიმდინარეობს. როგორც მოგეხსენებათ, ახალი წლის დღეები მართლმადიდებლური სამყაროსათვის იმითაც არის გამორჩეული, რომ 7 იანვრამდე მარხვაა, ამიტომაც მსურველებს ჩვეულებრივი ნამცხვრების გარდა სამარხვო ტორტებსა და სამი-ოთხი სახეობის (ასევე სამარხვო) ნამცხვრებსაც თავაზობენ. სამარხვო პროდუქციის შეკვეთა შესაძლებლია ორი დღით, ხოლო ჩვეულებრივი ნამცხვრების ერთი დღით ადრე, თუ რაიმე განსხვავებული და განსაკუთრებული დიზაინის შექმნასთან არ არის ეს ყოველივე დაკავშირებული.

ნამცხვრებს თავაზობენ, როგორც მთლიანი ფენებით, ასევე შესაძლებელია სხვადასხვა ნამცხვრებისაგან ასორტის დამზადებაც. მნიშვნელოვანია, რომ საკონდიტროში ყოველდღიურად დაგხვდებათ ჯერ კიდევ მოსართავი ტორტები, რომლის ფასებიც 30 ლარიდან იწყება და შესაძლებელია, რომ ის თქვენივე სურვილის გათვალისწინებით ადგილზევე მოგირთონ. ამისთვის კი თქვენთვის იზრუნებენ ბორჯომში ყველაზე ცნობილი კონდიტერები: **ნარგიზ მახარაძე და ლიზი ლაბაძე.**

შესაკვეთად შეგიძლიათ ეწვიოთ როგორც საკონდიტროს გვერდს სოციალურ ქსელში საკონდიტრო „ტირამისუ“, ასევე ადგილზევე მიბრძანდეთ მესხეთის ქ. @№5-ში.

ბედნიერ შობა ახალ წელიწადს გისურვებთ!

მოამზადა ნატო მესხელმა

კიდევ ერთი წარმატებული გამოსვლა

დეკემბერის ბოლო წინასაახალწლო დღეები ბორჯომის ზაქარია ფალიაშვილის სამუსიკო სკოლაში უჩვეულოდ ლამაზი ღონისძიებებით აღინიშნა. თითქმის ყოველდღიურად ტარდებოდა ამავე სკოლაში არსებული ვოკალურ-ინსტრუმენტალური ჯგუფების კონცერტები. 16 დეკემბერს კი პედაგოგ **თეა მანჩხაშვილ**ის სავიოლინო ჯგუფის კონცერტი გაიმართა. კონცერტზე ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების (ცაბაძის, მოცარტის, ბახის, ჩაიკოვსკისა და სხვათა) \ნაწარმოებები შესრულდა. თითოეული მონაწილის გამოსვლას მაყურებელი ტაშითა და ოვაციებით ხვდებოდა. სავიოლინო კონცერტზე მონაწილეობას იღებდნენ როგორც დამამთავრებელი, ასევე პირველი კლასის მოსწავლეები **(ემილი ლაზარაშვილი, ელენე შოთაშვილი, ანი გელაშვილი)**. ყველაზე პატარა მონაწილეებისათვის აღნიშნული კონცერტი პირველი გახლდათ, სადაც ისინი ფართო მაყურებლის წინაშე წარსდგნენ. მათ პედაგოგი და დამსწრე მაყურებელი ტაშითა და ოვაციებით ამხნევებდა. პატარებმა შესანიშნავად გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას. არაჩვეულებრივი ნომერი შეასრულეს მოსწავლეებმა პედაგოგთან ერთად, ასევე განსხვავებული ნომერი შესრულდა გიტარის თანხლებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ქალბატონი თეას კონცერტები ყოველთვის გამორჩეულია. ბორჯომის სამუსიკო სკოლაში სავიოლინო განყოფილება წლებია არსებობს და მისი შესწავლის მსურველთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. ვიოლინო ერთ-ერთი განსხვავებული და ყველაზე მოთხოვნადი ინსტრუმენტი ხდება, რაშიც უდიდესი წვლილი პედაგოგ თეა მანჩხაშვილს მიუძღვის.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ პედაგოგს და მის მოსწავლეებს ახალი წლის შემობრძანებას და წარმატებულ წელს ვუსურვებთ.

მოამზადა ნატო მელიქიძემ

გაზეთ „ბორჯომის” მომდევნო ნომერი გამოვა 2024 წლის 11 იანვარს

ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი მამა გერასიმე და მისი მრავალრიცხოვანი მრევლი თანაუგრძნობს ლუდა ქოზაშვილს მამის
რაჟდენ ქოზაშვილის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს..

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის N№24.04.59
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი. რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქუჩა. №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. ქ.თბილისი, თევდორე მღვდლის ქ.№57
ე-მაილ: ბორჯომი"ინბოხ.რუ რედაქტორი:
ვალერიან ლომიძე